სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის

დებულება

1. სამაგისტრო ნაშრომი არის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტი, რომელიც სრულდება სწავლების მეოთხე სემესტრში და მოიცავს 30 ECTS კრედიტს.
2. სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება, სკოლის კვლევის მიმართულებების ფარგლებში, სტუდენტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტს კონსულტაციას უწევს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი.
3. სტუდენტი ვალდებულია მესამე სემესტრში აირჩიოს სამაგისტრო ნაშრომის თემა და სამეცნიერო ხელმძღვანელი.
4. სამაგისტრო ნაშრომის თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელის კანდიდატურას განიხილავს სკოლის საბჭო სწავლების მესამე სემესტრის დასრულებამდე და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს.
5. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი) ან მოწვეული სპეციალისტი.
6. ხელმძღვანელს უნდა ქონდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან/ მიმართულებასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება ან/და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი.
7. სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია სისტემატური ზედამხედველობა გაუწიოს სტუდენტის მუშაობას, აკონტროლოს კვლევის მიმდინარეობა და ხარისხი. დაეხმაროს ნაშრომის გეგმის შედგენაში, უახლესი რელევანტური ლიტერატურის და კვლევის მეთოდების შერჩევაში. დაეხმაროს მას სამუშაო პროცესის გეგმიურად წარმართვაში, მუშაობის პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტაში, გაუწიოს სათანადო კონსულტაციები;
8. ხელმძღვანელი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე მაგისტრანტს აუხსნას სამეცნიერო შედეგებისა და სამეცნიერო ლიტერატურული წყაროების გამოყენების წესი, კორექტული ციტირების პრინციპები, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტები და მათი დარღვევით გამოწვეული შესაძლო შედეგები.
9. ერთსა და იმავე სემესტრში ერთი პირი შეიძლება იყოს მაქსიმუმ 5 სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი. გამონაკლისი დასაშვებია სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით.
10. სტუდენტი ვალდებულია, ანტიპლაგიატის დებულებით განსაზღვრულ ვადებში, წარადგინოს დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი პლაგიატზე შემოწმებისთვის.

11. სტუდენტი ვალდებულია სწავლების მეოთხე სემესტრში, არა უგვიანეს 15 ივნისისა, შესაბამისი სკოლის დეკანატში წარადგინოს დასრულებული სამაგისტრო ნაშრომი სამეცნიერო ხელმძღვანელის და ანტიპლაგიატის დასკვნებთან ერთად.
12. სამეცნიერო ხელმძღვანელის დასკვნაში ყურადღება უნდა გამახვილდეს ნაშრომის აქტუალურობაზე, სიახლეზე, პრაქტიკულ ღირებულებაზე, მონაცემთა სარწმუნოობაზე, გამოყენებული ლიტერატურის რელევანტურობაზე, სტრუქტურაზე, აკადემიურ სტილზე და სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებულ სხვა მოთხოვნებზე. დასკვნა უნდა სრულდებოდეს სამეცნიერო ხელმძღვანელის რეკომენდაციით: „დაშვებულ იქნას მაგისტრანტი (სახელი, გვარი) საჯარო დაცვაზე“ ან „უარი ეთქვას მაგისტრანტს (სახელი, გვარი) საჯარო დაცვაზე“. ამ უკანასკნელის შემთხვევაში სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კონკრეტულად მიუთითოს ის ნაკლოვანებები, რაც გახდა ნაშრომზე უარყოფითი დასკვნის მიზეზი.
13. სამეცნიერო ხელმძღვანელის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია ნაშრომს უბრუნებს სტუდენტს სამეცნიერო ხელმძღვანელის შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.
14. სტუდენტი ვალდებულია გადაამუშაოს სამაგისტრო ნაშრომი და წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
15. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების წინაპირობაა სამეცნიერო ხელმძღვანელის და ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების დადებითი დასკვნები.
16. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების მიზნით, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით, სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 1 კვირის ვადაში ინიშნება რეცენზენტი, რის შესახებაც ეცნობება რეცენზენტს, მაგისტრანტს და მაგისტრანტის ხელმძღვანელს.
17. რეცენზენტს უფლება აქვს უარი თქვას სამაგისტრო ნაშრომის რეცენზირებაზე, ამ შემთხვევაში არგუმენტირებული განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს მისთვის ნაშრომის გადაცემამდე.
18. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში მაგისტრანტს ან მაგისტრანტის ხელმძღვანელს შეუძლია უარი თქვას რეცენზენტზე, რის შესახებაც არგუმენტირებული განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემამდე.
19. მაგისტრანტის /მაგისტრანტის ხელმძღვანელის/რეცენზენტის დასაბუთებული უარის განხილვის შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება სხვა რეცენზენტი.
20. რეცენზენტი ვალდებულია 2 კვირის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი დასკვნა სამაგისტრო ნაშრომზე.
21. რეცენზიაში განხილული უნდა იყოს ნაშრომის აქტუალურობა და სიახლე, ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები, აგრეთვე უნდა შეიცავდეს ნაშრომის შინაარსის მოკლე მიმოხილვას და რეცენზენტის რეკომენდაციებს/შენიშვნებს.

22. რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი / მოწვეული სპეციალისტი ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალი.
23. რეცენზენტი დასკვნას წარადგენს შესაბამისი სკოლის დეკანატში, რის შემდეგაც დასკვნა გასაცნობად გადაეცემა მაგისტრანტს.
24. მაგისტრანტი ვალდებულია გაეცნოს რეცენზენტის დასკვნას და პასუხი გასცეს რეცენზენტის რეკომენდაციებს და შენიშვნებს სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე.
25. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის (შემდგომში „კომისია“) წინაშე რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში. კომისიის შემადგენლობაში შედის შესაბამისი/მომიჯნავე დარგის მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 დოქტორის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირი.
26. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება კომისიის მიერ საჯარო დაცვაზე ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით), 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი ჩაითვლება დაცულად თუ დაიმსახურებს მინიმალურ დადებით შეფასებას (51 ქულა).

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

ა) თავფურცელი
ბ) ანოტაცია
გ) შინაარსი (სარჩევი)
დ) შესავალი
ე) ძირითადი ტექსტი
ვ) დასკვნა
ზ) გამოყენებული ლიტერატურა
თ) დანართები

სამაგისტრო ნაშრომის არქიტექტონიკა

თავფურცელი - ნაშრომის სატიტულო პირველი გვერდი, რომელიც ივსება მკაცრად განსაზღვრული წესით: ფურცლის ზედა შუა ნაწილში იწერება – საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი; 3 სანტიმეტრის ინტერვალით იწერება სტუდენტის სახელი და გვარი სრულად, სახელობით ბრუნვაში; ფურცლის შუა ნაწილში იწერება ნაშრომის სახელწოდება ბრჭყალების გარეშე; ნაშრომის სახელწოდების შემდეგ იწერება სამაგისტრო პროგრამის დასახელება, კოდი და საძიებელი ხარისხი; მარჯვენა ქვედა მხარეს მიეთითება ხელმძღვანელის სახელი და გვარი, აკადემიური თანამდებობა და/ან აკადემიური ხარისხი; ქვედა შუა ნაწილში იწერება ნაშრომის შესრულების ადგილი (ქალაქი) და წელი (სიტყვა ,,წელის“ გარეშე);

ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე) - მოკლედ და გასაგებად უნდა ასახავდეს ნაშრომის თემის აქტუალურობას და მიზნებს, კვლევის ობიექტს, ძირითად შედეგებს, რომელშიც ასახული

უნდა იყოს ფაქტიური მონაცემები, გამოვლენილი კორელაციები და კანონზომიერებები და პრაქტიკული ღირებულებების მქონე მიგნებები. ქართულ ენაზე შესრულებული ანოტაცია არ უნდა აღემატებოდეს 150 სიტყვას. ანოტაციები განთავსდება ერთი მეორის მიყოლებით თავფურცელის შემდეგ.

შინაარსი **(სარჩევი)** – თანმიმდევრულად უნდა ასახავდეს ნაშრომის თავების და ქვეთავების ზუსტ სახელწოდებას მათი საწყისი გვერდების ნომრის მითითებით მარჯვენა მხარეს.

შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილი, რომელიც ასახავს ნაშრომის თემის აქტუალურობის დასაბუთებას, კვლევის მიზანს მიზნებსა და ამოცანებს, კვლევის ობიექტის ფორმულირებას, გამოყენებულ მეთოდოლოგიას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. შესავლის მოცულობა არ აღემატებოდეს 3 გვერდს.

ნაშრომის ძირითადი ტექსტი - შედგება თავებისა და ქვეთავებისგან. თავები უნდა დაინომროს თანმიმდევრულად. ქვეთავებს წინ დაესმის თავისა და ქვეთავის ნომერი. ნაშრომის თავებისა და ქვეთავების ნომრები მათი სახელწოდებებისაგან უნდა გამოიყოს წერტილით. ძირითადი ტექსტი მოიცავს საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებული ნაშრომების აღწერას, შეფასებას, სადავო შეხედულებების წარმოჩენას, კვლევის მეთოდებს - ჩატარებული კვლევის დაწვრილებით აღწერას გამოყენებული მეთოდების დახასიათებით, აგრეთვე კვლევის შედეგების, საკუთარი მიგნებების, სიახლის გამოკვეთას. საილუსტრაციო მასალა (ცხრილები, სქემები და სხვ.) ძირითად ტექსტში უნდა განთავსდეს შესაბამისი ნუმერაციით და დასათაურებით. დამატებითი საილუსტრაციო მასალა შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას დანართის სახით.

დასკვნა - სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შედეგების ამსახველი ნაწილი, რომელშიც კომპაქტურად ჯამდება კვლევის შედეგები, მოკლედ და კონკრეტულად პასუხობს დასახულ მიზნებს და ამოცანებს. დასკვნაში აისახება მიღებული შედეგების თეორიული მნიშვნელობა, პრაქტიკული ღირებულება და პერსპექტიული გამოყენების სფერო.

გამოყენებული ლიტერატურა (ბიბლიოგრაფიული ნუსხა) - წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე და ბოლოს ინტერნეტ და სხვ. რესურსები. ნუსხაში უნდა მიეთითოს:
პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; ნაშრომის სახელწოდება; სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება; წელი; ტომი; გამოცემის ნომერი; ნაშრომის საწყისი და ბოლო გვერდები.
წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში: ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; ნაშრომის სახელწოდება; გამოცემის წელი; გამოცემის ადგილი; გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა.
ინტერნეტ-რესურსის გამოყენების შემთხვევაში: მასალის ავტორი; ვებ-გვერდის მისამართი; მასალის დასახელება ლინკის მინიშნებით; მასალის მოძიების თარიღი.

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში: სტატიის ავტორ(ებ)ის გვარი და ინიციალები; სტატიის დასახელება; წელი; ელექტრონული გამოცემის დასახელება; გამოცემის ნომერი; თავი და/ან ქვეთავი (იწერება ფრჩხილებში); ვებ-გვერდის მისამართი; მასალის მოძიების თარიღი.

ნორმატიული დოკუმენტის გამოყენების შემთხვევაში: დოკუმენტის სახე (ბრძანება, კანონი და სხვ.) დოკუმენტის დასახელება შესაბამისი ნომრისა და წლის მინიშნებით; რესურსის დასახელება, სადაც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი, გამოცემის წელი და ადგილი.

გამოყენებული ლიტერატურის მითითებისას (ციტირება, პერიფრაზი და სხვ.) უნდა დაიწეროს სქოლიოს ნომერი, ბიბლიოგრაფიიდან შესაბამისი ნაშრომის ნომერი და გვერდ(ებ)ი; სქოლიო შესაძლებელია დაიწეროს როგორც შესაბამის გვერდზე ძირითადი ტექსტის ბოლოს (ამ შემთხვევაში სქოლიო ინომრება მოცემულ გვერდზე არსებულ სქოლიოთა რიგითობის და რაოდენობის შესაბამისად).

დანართები (ცხრილები, სქემები, სხვა საილუსტრაციო მასალა) – სარჩევში მიეთითება არსებობის შემთხვევაში და არ შედის ძირითადი ტექსტის შემადგენლობაში.

მოთხოვნები სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების თაობაზე

ნაშრომი სრულდება A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე, ნაშრომის მოცულობაა 50–100 გვერდი, შრიფტი – „სილფაენი“, შრიფტის ზომა - 12 (ნაშრომის სახელწოდების შრიფტის ზომა – 18, თავების – 16, ქვეთავების - 14), სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5; გვერდის ველები: მარცხენა – 3 სმ., მარჯვენა – 1 სმ.; ზედა და ქვედა – 2,5 სმ; ნაშრომის ყოველი თავი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლიდან; თავსა და ქვეთავს შორის დაშორება - 2 სმ.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით). მინიმალური დადებითი შეფასება მაქსიმალური შეფასების 51 ქულაა. მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულის (FX) შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებელი ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო მაქსიმალური შეფასების 40-0 ქულის (F) მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

კომისიის წევრები სამაგისტრო ნაშრომის დაცვას აფასებენ ინდივიდუალურად დანართი 1-ის მიხედვით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულს და ფორმდება შესაბამის უწყისში (დანართი 2), რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი.

გარდამავალი დებულება

საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2016 წლის 18 აგვისტოს ბრძანების (N102-ნ) შესაბამისად სტუდენტს, რომელსაც 2016 წლის 1 სექტემბრამდე წინასამაგისტრო ნაშრომის პროექტის შესრულებაში მიღებული ჰქონდა შუალედური და დასკვნითი შეფასებები და მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი კრედიტი, მას ეს კრედიტი შეუნარჩუნდება.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფურცელი

კომისიის წევრის მიერ

კომისიის წევრის სახელი და გვარი: ----------

მაგისტრანტის სახელი და გვარი: ----------

სკოლა: ----------

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ----------

მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: ----------

ჩაბარების თარიღი: ----------

ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: ----------

ნაშრომის სახელწოდება: ----------

კომპონენტი ქულა	**შეფასების კრიტერიუმები**	**დიფერენცირებული შეფასება**	**კომისიის წევრის შეფასება**
საკვლევი პრობლემის სისტემური ხედვა, აქტუალურობა და სიახლე *(5 -10 ქულა)*	საკვლევი პრობლემა ნათლად არის გამოკვეთილი და სრულყოფილად აღწერილი, კვლევის აქტუალურობა და სიახლე დასაბუთებულია.	**8-10 ქულა**	
	საკვლევი პრობლემა გამოკვეთილი და აღწერილია, კვლევის აქტუალურობა და სიახლე მეტწილად დასაბუთებულია.	**5-7 ქულა**	
	საკვლევი პრობლემა არ არის ნათლად გამოკვეთილი, კვლევის აქტუალურობა და სიახლე ნაწილობრივ არის დასაბუთებული.	**1-4 ქულა**	
	საკვლევი პრობლემა, კვლევის აქტუალურობა და სიახლე არ არის ჩამოყალიბებული.	**0 ქულა**	

სამაგისტრო ნაშრომში განხილული საკითხების ღრმა ცოდნა, კრიტიკული გააზრება და შესაბამისობა საკვლევ თემასთან *(5 -10 ქულა)*	ნაშრომში ვლინდება საკითხის ღრმა ცოდნა და კრიტიკული გააზრება. განხილული საკითხები სრულად შეესაბამება საკვლევ თემას. ნაშრომში ვლინდება საკითხის ცოდნა და კრიტიკული გააზრება. ნაშრომში განხილული საკითხები მეტწილად შეესაბამება საკვლევ თემას. ნაშრომში განხილული საკითხები ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას. საკითხის ცოდნა არასიღრმისეულია, აღინიშნება კრიტიკული გააზრების ხარვეზები. ნაშრომში განხილული საკითხები არ შესაბამება საკვლევ თემას.	**8-10 ქულა** **5-7 ქულა** **1-4 ქულა** **0 ქულა**	
სამაგისტრო ნაშრომის მიზნების, ამოცანების და შე-დეგების შესაბამისობა *(5 -10 ქულა)*	კვლევა დაგეგმილია მაღალ სტრატეგიულ დონეზე, კვლევის მიზნები, ამოცანები და შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. კვლევის დაგეგმვის სტრატეგია მკაფიოა, კვლევის მიზნები, ამოცანები და შედეგები მეტწილად შესაბამისობაშია ერთმანეთთან. კვლევის დაგეგმვის სტრატეგიაში შეინიშნება ხარვეზები, კვლევის მიზნები, ამოცანები და შედეგები ნაწილობრივ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. კვლევის დაგეგმვის სტრატეგია არაეფექტურია, კვლევის მიზნები, ამოცანები და შედეგები არ არის შესაბამისობაში ერთმანეთთან.	**8-10 ქულა** **5-7 ქულა** **1-4 ქულა** **0 ქულა**	
საკვლევი თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის	გამოყენებულია უახლესი და მრავალფეროვანი ლიტერატურა; ლიტერატურა სწორად არის შერჩეული, სიღრმისეულად და	**8-10 ქულა**	

კრიტიკული ანალიზი და ინფორმაციის სინთეზი *(5 -10 ქულა)*	კრიტიკულად არის გაანალიზებული და სრულად შეესაბამება საკვლევ თემას. გამოყენებული ლიტერატურა უახლესი და მრავალფეროვანია, კრიტიკულად არის გაანალიზებული და მეტწილად შეესაბამება საკვლევ თემას. გამოყენებული ლიტერატურა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება საკვლევ თემას და სათანადო დონეზე არ არის გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა და მისი ანალიზი არ შეესაბამება საკვლევ თემას.	**5-7 ქულა** **1-4 ქულა** **0 ქულა**	
კვლევის მეთოდების რელევანტურობა და მიღებული შედეგების სარწმუნოობა *(8 -15 ქულა)*	კვლევის მეთოდები ეფექტიანად, მიზნობრივად და კომპლექსურად არის შერჩეული. ჩატარებულია მაღალი ხარისხის კვლევა, კვლევის შედეგები ცხადი, ლოგიკური და სრულიად სარწმუნოა. გამოყენებული კვლევის მეთოდები მეტწილად რელევანტურია, ჩატარებულია კარგი ხარისხის კვლევა, კვლევის შედეგები ლოგიკური და სარწმუნოა. გამოყენებული კვლევის მეთოდები ნაწილობრივ რელევანტურია, ჩატარებული კვლევის ხარისხი დამაკმაყოფილებელია, თუმცა შედეგები არ იძლევა სიღრმისეული ანალიზის შესაძლებლობას. კვლევის მეთოდები ნაკლებად ეფექტურია. კვლევის შედეგები ზედაპირულია, აკლია სიცხადე, ლოგიკურობა, დასაბუთება.	**13 -15 ქულა** **10-12 ქულა** **6 -9 ქულა** **1-5 ქულა**	

	ჩატარებული კვლევის ხარისხი დაბალია და ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული შედეგების მიღებას, კვლევის შედეგები არასარწმუნოა.	0 ქულა	
ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნებისა და რეკომენდაციების თეორიული და პრაქტიკული ღირებულება *(5 -10 ქულა)*	წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები სრულყოფილად დასაბუთებულია და თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა. წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები მეტწილად დასაბუთებულია და თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მქონეა დასკვნები და რეკომენდაციები ნაწილობრივ დასაბუთებულია, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება ნათლად არ არის გამოკვეთილი. დასკვნები და რეკომენდაციები დაუსაბუთებელია და არ გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.	8-10 ქულა 5-7 ქულა 1-4 ქულა 0 ქულა	
სამაგისტრო ნაშრომის გაფორმება, ენა და სტილი *(5 -10 ქულა)*	ნაშრომი გაფორმებულია წაყენებული მოთხოვნების შესაბამისად, აზრი მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული, ენა და სტილი აკადემიური და დახვეწილია. ნაშრომი გაფორმებულია მოთხოვნების შესაბამისად, აზრი მეტწილად მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, ენა და სტილი აკადემიურია. ნაშრომის გაფორმება დამაკმაყოფილებელია, აზრი ნაწილობრივ ჩამოყალიბებულია, ნაშრომში ვლინდება ენობრივი	8-10 ქულა 5-7 ქულა 1-4 ქულა	

	ხარვეზები, აკადემიური სტილი დაბალია. ნაშრომის გაფორმება, აზრის ჩამოყალიბება, ენა და სტილი არადამაკმაყოფილებელია.	**0 ქულა**	
კვლევის შედეგების პრეზენტაცია *(8 -15 ქულა)*	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ვიზუალური (სლაიდების დიზაინი და რაოდენობა, წარმოდგენილი ტექსტის მოცულობა და სხვ.) და ვერბალური მხარე მაღალ დონეზეა, მსჯელობა არგუმენტირებული და დამაჯერებელია პროფესიული ტერმინოლოგიის სრულყოფილი ფლობით, თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია ამომწურავად, საკითხის საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით.	**13 -15 ქულა**	
	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე მეტწილად ეფექტურია, მსჯელობა გამართულია პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით, თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია კარგად - საკითხის ცოდნის დემონსტრირებით.	**10 -12 ქულა**	
	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე დამაკმაყოფილებლია, თუმცა კვლევის შედეგების განსჯა საჭიროებს სრულყოფას; მსჯელობა ნაკლებადარგუმენტირებულია. თემის შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია დამაკმაყოფილებლად.	**7 -9 ქულა**	
	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე არასრულყოფილია, მსჯელობა არასრულია. პროფესიული ტერმინოლოგია და კვლევის შედეგების განსჯა მწირია.	**1-6 ქულა**	

	კვლევის შედეგების პრეზენტაციის ვიზუალური და ვერბალური მხარე არადამაკმაყოფილებელია. მსჯელობა არასაგნობრივია.	**0 ქულა**	
სამეცნიერო დისკუსიის უნარი *(5 -10 ქულა)*	შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები მართებული და ამომწურავია. საკუთარი მოსაზრებები გამყარებულია დამაჯერებელი არგუმენტებით. განსხვავებული აზრის მიმართ დამოკიდებულება ჯანსაღი, კორექტული და კონსტრუქციულია. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები მეტწილად არგუმენტირებულია. ვლინდება ძირითადი საკითხების ცოდნა. განსხვავებული აზრის მიმართ დამოკიდებულება ჯანსაღი, კორექტული და კონსტრუქციულია. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები ნაწილობრივ არგუმენტირებულია. ვლინდება ძირითადი საკითხების ფრაგმენტული ცოდნა. განსხვავებული აზრის მიმართ დამოკიდებულება ჯანსაღი, კორექტული და კონსტრუქციულია. შეკითხვებსა და შენიშვნებზე პასუხები არალოგიკურია და არარგუმენტირებულია. ვლინდება ძირითადი საკითხების ზედაპირული ცოდნა.	**8-10 ქულა** **5-7 ქულა** **1-4 ქულა** **0 ქულა**	
საბოლოო შეფასება *(ცალკეული კომპონენტების ჯამის ტოლია)*		**51- 100 ქულა**	

დანართი 2

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების ფურცელი

მაგისტრანტის სახელი და გვარი: ----------

სკოლა: ----------

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ----------

მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი:----------

ჩაბარების თარიღი: ----------

ჩარიცხვის ბრძანების ნომერი: ----------

კომისიის წევრების შეფასებების საშუალო ქულა (მაქს. 100 ქ.)	კომისიის წევრების ხელმოწერები
1	2

ნაშრომის სახელწოდება: ----------

სკოლის დეკანი: _____

შეფასების სისტემის განაწილების სქემა:

ქულების განაწილება	შეფასება
91-100	(A) ფრიადი
81-90	(B) ძალიან კარგი
71-80	(C) კარგი
61-70	(D) დამაკმაყოფილებელი
51-60	(E) საკმარისი
41-50	(FX) სამაგისტრო ნაშრომი ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო და მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
0-40	(F) სამაგისტრო ნაშრომი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს. მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.